


საფეხიკილი რაჭის სანაღმონო

გაგაქვანი

Crafts Workshops' Guidebook

შიდა ქართლის რეგიონი
ტრადიციული რეწვის
სახელოსნოების
გზამკვლევი



Shida Kartli Region
Crafts Workshops'
Guidebook





პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



გზამკვლევი მომზადდა USAID ზრდა პროექტის მიერ დაფინანსებული ინიციატივის „ტრადიციული რეწვის ოსტატების ბიზნეს უნარების გაძლიერება ახმეტის მუნიციპალიტეტსა, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს – საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია.



გზამკვლევი შეადგინეს: ანა შანშიაშვილმა, მადონა ჯალაღონიამ

კუნსულტანტი: ნატალია ბახტაძე

გზამკვლევი მომზადდა: საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან თანამშრომლობით

ფოტოები: ოთარ დათუაძე, ანა შანშიაშვილი, მადონა ჯალაღონია

განსაკუთრებული მადლობა: საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას რუკების მოწოდებისთვის, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს ფოტოების მოწოდებისთვის.

დიზაინი: გეგა პაქსაშვილი

წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაცია შემუშავებულია Chemonics International-ის შეხედულებების გათვალისწინებით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

This Guidebook has been published in the framework of the project “ENHANCE ARTISANS/CRAFTS MAKERS’ BUSINESS SKILLS in Akhmeta Municipality, Samtskhe–Javakheti, Samegrelo, Shida and Kvemo Kartli Regions” funded by the USAID Zrda Activity in Georgia.

PROJECT IMPLEMENTED BY: Georgian Heritage Crafts Association

DESIGNED IN COLLABORATION WITH: Georgian Ecotourism Association

GUIDEBOOK COMPILED BY: Ana Shanshiashvili, Madona Jalaghonia

CONSULTANT: Natalia Bakhtadze

PHOTOS BY: Otar Datuadze, Ana Shanshiashvili, Madona Jalaghonia

SPECIAL THANKS TO: Georgian National Tourism Administration for Providing Maps, Education Development and Employment Center for Providing Photos

DESIGN: Gega Paksashvili

This publication is made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the responsibility of Chemonics International Inc, and do not necessarily reflect the views of United States Agency for International Development or the United States Government.

2020 Tbilisi © Georgian Heritage Crafts Association





შიდა ქართლი საქართველოს ისტორიული ცენტრი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა. დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, მასში შედის კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის (ოკუპირებულ ტერიტორიაზე – ცხინვალსა და ჯავის) მუნიციპალიტეტები. ისტორიულად ქართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო დედაქალაქი მცხეთა და მისი შემოგარენი, რომელიც დღეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ეკუთვნის.

Shida Kartli is a historical heartland of Georgia, marked by the extraordinary richness of archeological and cultural heritage sites. Today Shida Kartli includes the municipalities of Kaspi, Gori, Kareli, and Khashuri (with Tskhinvali and Java lying within the occupied territories). Mtskheta, the ancient capital of Georgia, and its surrounding territories now belong to the Mtskheta-Mtianeti Municipality, although it was a historical center of Kartli for centuries.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროდან დასახლდა. ქვაცხელები, დედოფლის მინდორი, გრაკლიანის გორა, ახალგორი, უფლისციხე (რომ არაფერი ვთქვათ თავად მცხეთაზე) ამ ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის კვალის მატარებელი უმნიშვნელოვანესი ძეგლების არასრული ჩამონათვალია.

როგორც ქრისტიანობის ეპიცენტრი, ეს მხარე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში. ქვეყნის სხვა რეგიონებში სწორედ აქედან ვრცელდებოდა მოწინავე მხატვრული ტენდენციები.

ლითონმუშაობა – შიდა ქართლის რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები აღნიშნულ ტერიტორიაზე ლითონის წარმოება-დამუშავების ხანგრძლივ ტრადიციაზე მიუთითებს. ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებული ქვაცხელების სპილენძის დიადემა, წეროს, წრეების და ირმების გამოსახულებით, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი შემკული ერთ-ერთი უადრესი სამკაულია. სრულიად გამორჩეულია ძვ. წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ახალგორის განძი, რომელიც ძვირფასი ლითონების დამუშავების ტექნიკების საოცარო ოსტატობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ვხვდებით როგორც ცვარას, ისე თეგურ, მატრიცულ ტექნიკას. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი სასაფეთქლეების, ცხენის აღკაზმულობის დახვეწილი დეტალები, ფარაკიანი ბეჭდები და სხვა. ცხადია, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ლითონქამნდაკებლობის ისტორიაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართლის ისტორიული დედაქალაქის – მცხეთის გათხრებისას აღმოჩენილი მდიდრული სამარხეული ინვენტარი. აქ ლითონის დამუშავების ტექნიკებთან ერთად, ჭარბობს ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით ტიხრული ინკრუსტაციის მეთოდით მორთული ნივთები. აღნიშნული ტექნიკა ტიხრული მინანქრის წინამორბედ ტექნიკადაა მიჩნეული.

Ancient settlements unearthed in multiple locations (such as Kvatskhelebi, Dedoplis Mindori, Graklianis Gora, Akhalgori, Uplistikhe, Mtskheta, and others) speak to the fact that these lands have been inhabited by humans since the very distant past.

An early center of Christianity, Shida Kartli was also a primary artistic center, where the leading artistic forms of early Christian culture developed and later spread to the peripheries of the country.

METALWORK – The rich archeological findings in Shida Kartli speak to an advanced culture of metalworking. For example, a 3rd millennium BC copper diadem from Kvatkhelebi (featuring stork, deer, and circles) is amongst the earliest examples of decoratively adorned jewelry in Georgia. Grave goods found in Akhalgori and dating back to the 5th-4th century BC show the use of refined techniques such as repousse, embossing, or granulation. Perhaps the most extraordinary of the Akhalgori treasures is a pair of pendants designed to hang from a horse's bridle at the temples. The pendants were crafted in the shape of two horses, with chains and acorn shapes hanging below. It goes without saying that the rich burials of Mtskheta should be mentioned here. The fine cut-stone inlay adorning gold work characteristic of jewelry found in Mtskheta is considered as an original method from which the cloisonné enamel technique evolved.

In medieval times, churches and monasteries were key centers of repousse work, where icons, crosses, and other religious objects were made.

According to 19th-century sources, in Gori several blacksmith workshops were producing agricultural tools and other objects for everyday life. Tinsmithing was also among the popular traditional occupations at the time.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში, შიდა ქართლის მონასტრები საეკლესიო ტედურობის ცენტრები იყო. აქ იქმნებოდა ხატები, ჯვრები და სხვა ნივთები.

XIX საუკუნის მასალების მიხედვით ცნობილია, რომ ქალაქ გორში არსებობდა სამტედლოები, სადაც იქმნებოდა სამეურნეო დანიშნულების ნივთები. ასევე განვითარებული იყო მეთუნეულება, რომელიც იმ პერიოდში ხელობის შედარებით ახალ დარგს წარმოადგენდა.

კერამიკა - შიდა ქართლი თიხის საბადოებით მდიდარი რეგიონია. ცნობილია გორის, ქსნის, ხცისის, ორთუბნის, მეტეხის თიხის საბადოები.

CERAMICS - Shida Kartli is rich in clay resources (notably Gori, Ksani, Khtisi, Ortubani, Metekhi). The production of pottery developed especially during Early Bronze Age (3rd Millennium BC), when the Mtkvari-Araxian Culture (c. 3500- 2400 BC) emerged across the territory of the East Caucasus.

This period marked the development of a new style of pottery, namely black-smoked ceramics. The abundance of pottery fragments found across Shida Kartli speaks to the high level of craftsmanship of old masters.

In the 19th-century, Gori was a center of ceramic production. The tableware, brick and tile makers are each



ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტებით დასტურდება, რომ მეთუნეობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან იყო განვითარებული, მარტივი ნაძერწი თიხის ნაწარმიდან ჩარხზე ამოყვანილი საინტერესო ფორმებით გამორჩეულ დახვეწილ ნაკეთობებამდე.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრი იყო გორი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის წყაროებში ცალკე-ცალკე მოიხსენიება მეჭურჭლე, მეგურე და მეკრამიტე. გორისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მოჭიქული კერამიკა, რომელიც ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება - სამაწვნი ტურტელი, ჯამები, თასები, დოქები, მარნები, სამქვევრები და სხვა ზომორფული ფორმის ზიარტურტელები. ასევე სახასიათოა ფერთა გამა, რომელიც მოიცავს როგორც ყვითელტიქურიან მწვანე ფერით მოხატულ კერამიკას, ისე მოთეთრო და მოისამნისფრო ტიქურზე მწვანე ორნამენტული სახეებით გაფორმებულ ტურტელს.

განსკუთრებით უნდა გამოიყოს სოფელი ცხავატი ქსნის ხეობაში, რომელიც ცნობილი იყო მოუტიქავი კერამიკის წარმოებით. ცხავატის თიხა გამოირჩევა სიმკვრივით. სწორედ ამიტომ, ამ თიხით შექმნილი მოუტიქავი ტურტელი ნაკლებად ატარებს წყალს. ცხავატური კერამიკისთვის დამახასიათებელია წერნაქით შესრულებული მარტივი ორნამენტული მოტივები. აქ ასევე მზადდებოდა მომცრო ზომის ჩარხზე ამოყვანილი ქვევრები.

ხის მხატვრული დამუშავება – შიდა ქართლის რეგიონში საცხოვრებელი სახლის სტრუქტურაში ხის მასალის გამოყენება მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიდან ფიქსირდება (ძვ.წ. IV ათასწ. II ნახ. – III ათასწ. I ნახ.). ამას ადასტურებს ქვაცხელებსა და ხიზანანთ გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა. ამ პერიოდში პირველად იქნა გამოყენებული ხის საყრდენი, რაც ქართული ტრადიციული დარბაზული საცხოვრისის დედაბოძის ერთგვარ პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ.



indicated as separate occupations in the literary sources from that period. Gori was famous for its glazed ceramics – jugs, jars, and bowls were made here, along with a type of connected vessel (called *marani*) designated for wine drinking. The traditional color palette for these glazed vessels included green and/or purple motifs, applied on a yellow or translucent white background.

The village of Tskhavati, in the Ksani Gorge (now within the occupied territories), was another center of pottery. Here the local clay is notable for its durability and low porosity, and as a result, tableware in Tskhavati was fired without a glaze. Typical adornment for these vessels would be simple patterns executed in red-earth pigments. Another specialty of this village was the production of smaller size *qvevris* (clay vessels used to ferment wine underground), which were completely wheel-thrown.

WOODWORK was an essential part of the dwelling houses in Shida Kartli. Interior wooden decoration typical to Kartli *darbazi* dwellings, such as prototypical dwellings found in Kvatsakhelebi and Khizaant Gora, date back to the 4th-3rd millennium BC. *Darbazi*-type



როგორც ცნობილია, შიდა ქართლის რეგიონისთვის დამახასიათებელი იყო დარბაზული ტიპის საცხოვრებელბი. ხის მხატვრული დამუშავება გამოიყენებოდა როგორც დედაბოძის, ისე ტრადიციული ავეჯის: სკამების, საწოლის, აკვნების და ჭურჭლის მორთულობაში.

XIX საუკუნეში დურგლობა ფართოდ გავრცელებული ხელობა იყო. დურგლებს თავიანთი ამქარი ჰქონდათ. წყაროებში ნახსენებია, რომ ძირითადად ხის მასალა ბორჯომიდან და ატენის ხეობიდან მოჰქონდათ.

ქვაზე კვეთა - შიდა ქართლის რეგიონი ასევე ცნობილია ქვის რესურსებით და მისი დამუშავების ტრადიციებით. ქვიშაქვის მასივში გამოკვეთილი ქალაქი - უფლისციხე ადასტურებს ადგილობრივი ოსტატების მიერ ქანების დამუშავების ტექნოლოგიების უმაღლეს ცოდნას.

აქ მოიპოვება მუქი მოწითალო-ღვინისფერი ტუფი, ქვიშაქვა, ბაზალტი, ანდეზიტი და სხვა. ადრეერისტი-

structures are buildings with a wooden dome and a central wooden column *dedabodzi*, (a mother column) which is often adorned with wood-carved ornaments. Similarly, the furniture (armchairs, bedsteads, chests, cradles and tableware) was often carved with geometric patterns.

In the 19th-century carpenters organized a separate guild. According to literary sources, the raw timber used in Shida Kartli dwellings was often brought from the Borjomi and Ateni gorges.

STONework - Shida Kartli is rich in stone resources. The sandstone rock-hewn city of Uplistsikhe is clear evidence of the high level the craftsmanship of local masters, and their knowledge of working with rock massifs. A reddish tufa, sandstone, basalt, andesite, and other types of stone are found in these territories.

The early Christian stelae and churches across Shida Kartli are embellished with stone-carved images of birds and animals, hunting scenes, donor portraits, and ornaments. Later in the 10th-11th century, these reliefs become more elaborate in style. The churches at Ikvi and Rkoni have fine-cut stone facades decorated with endless variations of richly ornamental carvings. Adorned with twin rhombus patterns, a gorgeous stone-carved griffin image, and many other ornaments, the Samtavisi Church (1030 AD), along with Mtskheta's Svetitskhoveli Cathedral and Samtavro Church (11th century), are all marvels of Georgian façade decoration.

In the 19th-century, the stonemasons formed a separate guild in Gori. Members of the Gori guild mostly produced carved gravestones and water mill stones.

MOSAICS - Two important mosaics are found among the historical territories of Shida Kartli: A 3rd century floor mosaic in Dzalisi features a scene with Dionysus





ანული ტაძრების ფასადები და სტელები რელიეფური მორთვის საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს. ქტიტორთა და წმინდანთა ფიგურები, ნადირობის სცენები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები და ორნამენტული არშიები ტაძრის შესასვლელებს, სარკმლის თავსართებს ამშვენებს და ფასადების მნიშვნელოვან აქცენტებს უსვამს ხაზს. X–XI საუკუნეებში ქვის მხატვრული დამუშავების შედეგებს ვხვდებით იკვის, რკონის და სხვა ტაძრების ფასადებზე. ამ კუთხით განსაკუთრებით გამოირჩევა XI საუკუნის სამთავისის ტაძარი, სადაც ვხვდებით დეკორატიული რომების, ფასკუნჯის, ვაზის რელიეფურ გამოსახულებებს. ცხადია, აქვე უნდა აღინიშნოს მცხეთის სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრების მდიდრულად მორთული ფასადებიც.

XIX საუკუნეში ქალაქ გორში ქვის მთლელებს ცალკე ამქარი ჰქონდათ. ამ პერიოდის ოსტატები ძირითად ამზადებდნენ საფლავის ქვებს და წყლის წისქვილის დოლაბებს.

მოზაიკა – შიდა ქართლის ისტორიულ ტერიტორიაზე გვხვდება მოზაიკის ნიმუშები, მაგ. მუხრანის ველზე (ამჟამად მცხეთა-მთიანეთის ტერიტორია) აღმოჩენილი ძალისის მოზაიკური იატაკი დიონისეს და არიადნეს გამოსახულებით, რომელიც ახ. წთ. აღ. III საუკუნით თარიღდება, ასევე VII საუკუნის წრომის ტაძრის საკუროთხევლის მოზაიკური ფრაგმენტი.

წყაროები და არტეფაქტები მოწმობს, რომ XIX საუკუნეში გორში იყო დაბალების, მექალაქმწეების სახელოსნოები. აქ ასევე არსებობდა ტრადიციული სამოსის სამკერვალოები, რომელთა შემქნელებს დერჯიკები ეწოდებოდა. ცნობილი იყო ქსნური ფარდაგები. კასპის შემოგარენში მზადდებოდა წნულის ნაწარმი. ძირითად მასალად გამოიყენება ჭაობის ტირიფი, რომელსაც გააჩნია რბილი მერქანი. მასალა ადგილობრივად ქართლის მდინარეების ნაპირებზე მოიპოვება. მისგან მზადდება ძირითადად კალათები, ლარნაკები, ავეჯი და სხვა.



and Ariadne, and a 7th-century mosaic fragment is located in the Tsromi Church.

Both the literary sources and artifacts speak to the fact that other fields of craft were also quite popular in the 19th-century. Leatherworkers and sewing ateliers in Gori, for example, were producing clothes and accessories. On the other hand, woven rugs from the Ksani gorge and baskets from nearby Kaspi, made from local willow growing on the banks of the rivers, were also widely known.



გორის კუნიცპალიტატი
GORI MUNICIPALITY

გორი - გიორგი ტატულაშვილის კერამიკის სახელოსნო-მუზეუმი Gori - Giorgi Tatulashvili's Ceramic Workshop-Museum

მუზეუმში მზადდება გორის მოტივული კერამიკისთვის ტრადიციული მოთეთრო ან ყვითელ ჭიქურზე მომწვანო ფერიტ დატანილი ორნამენტებით გაფორმებული ფიალები, დოქები, ჯამები, ზომორფული სასმისები, მარნები, სამქვევრები და სხვა ფორმის ზიარჭურჭლები. დღეისათვის გორში აღნიშნული კერამიკის წარმოება გაქრობის პირასაა. გიორგი ტატულაშვილმა ცოდნა საკუთარი წინაპრებისგან მიიღო. მათი ნამუშევრები არაერთი მუზეუმის კოლექციაშია წარმოდგენილი. სახელოსნო-მუზეუმში შემორჩენილია XIX საუკუნის შეშის ღუმელი. აქვე გამოფენილია ოსტატების წინაპრების მიერ შექმნილი ჭურჭლის ნიმუშები.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სახელოსნოს ისტორიას; დაესწრონ ტრადიციული თიხის ჭურჭლის ამოყვანის, მოხატვის მასტერკლასებს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით.

ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 1-2 საათი

ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5-6 ადამიანი

მასტერკლასების ღირებულება: 20-25 ლარი

პროდუქციის ღირებულება: 15-300 ლარი

ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა

საკონტაქტო პირი: გიორგი ტატულაშვილი, +995 599275568

GPS კოორდინატები:

გორი, ე. ნინოშვილის ქ. #9, 41.989169, 44.115857

Giorgi Tatulashvili's ceramic workshop is among the outstanding artisanal workshops in Georgia. Here one would come across an authentic tradition of Gori glazed tableware, which was very popular during the 19th c. Today there is only this family, which still maintains this practice. Giorgi Tatulashvili inherited his skills from his ancestors. Their works are displayed in different museums. Master's works include glazed bowls, jugs, zoomorphic jars and various types of special connected vessels typical to Georgia (Marani, Samkvevra etc). The tableware is marked by the typical color combinations of semi-transparent white or yellow background adorned with green patterns. Here, in this workshop one would find the old 19th century kiln and the works made by the other family members of the master.

SERVICES: Visitors are offered the brief overview of the workshop and the master class in wheel-throwing and ceramic painting.

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 1 -2 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5-6 individuals

MASTER CLASS PRICE: GEL 20-25

PRODUCT PRICE RANGE: GEL 15-300

PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer

CONTACT PERSON: Giorgi Tatulashvili, +995 599275568

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, E. Ninoshvili str., #9, 41.989169, 44.115857





გორი - ერმილე მაღრაძის ტიხრული მინანქრის სახელოსნო

Gori - Ermile Maghradze's Cloisonné Enamel Workshop

ერმილე მაღრაძე ტიხრული მინანქრის მკვლევარი და გამორჩეული ოსტატია. წყაროებზე და ექსპერიმენტებზე (ჭიქურების შემადგელობა, ტიხრების მირჩილვა, გამოწვა) დაყრდნობით, მან შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქრის დამზადების სრული პროცესი გაცოცხლა. მის სახელოსნოში ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის მოწყობილია სასწავლო ცენტრი, სადაც უმეტესად სამუზეუმო ასლები, ხატები და სხვა რელიგიური დანიშნულების ნივთები მზადდება.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ ექსკურსი ქართული მინანქრის ისტორიაზე და გაეცნონ ტიხრული მინანქრის დამზადების ეტაპებს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით

ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2 საათი

ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5 ადამიანი

მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით

პროდუქციის ღირებულება: შეთანხმებით

ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა

საკონტაქტო პირი: ერმილე მაღრაძე, +995 555647214

GPS კოორდინატები:

გორი, ე. გელდიაშვილის ქ. 3ა, 41.984149, 44.113236

Ermile Maghradze is an outstanding cloisonné enamel researcher and master. Based on historic sources and direct experiments (identification of glaze ingredients, attaching the partitions and firing) he recreated Georgian medieval cloisonné enamel technology. At the same time Ermile Maghradze's workshop offers study courses to local youth, where they primarily make museum copies, icons, and other religious objects.

SERVICES: Visitors are offered a brief overview on the history of Georgian cloisonné enamel and a master class in cloisonne enamel making.

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: From 2 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5 individuals

MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance

PRODUCT PRICE RANGE: Must be arranged in advance

PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer

CONTACT PERSON: Ermile Maghradze, +995 555647214

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, E. Geldiashvilis str., 3a, 41.984149, 44.113236





გორი - მამუკა ლაშხის მინანქრის სახელოსნო Gori - Mamuka Lashkhi's cloisonné enamel workshop

მამუკა ლაშხის სახელოსნოში იქმნება მინანქრის სამკაული, ბროშები, ზარდახშები, ჯვრები. მინანქართან ერთად გამოყენებულია ნახევრადძვირფასი და ძვირფასი ქვები, რაც ოსტატის ნამუშევრებს თავისებურ ინდივიდუალიზმს ანიჭებს.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მინანქრისა და საიუველირო ნაკეთობის შექმნის მასტერკლასში.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2-3 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 10 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: 15 ლარი
პროდუქციის ღირებულება: 250 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი
საკონტაქტო პირი: მამუკა ლაშხი, +995 598252564
GPS კოორდინატები:
გორი, ქეთევან წამებულის ქ. # 68, 41.982153, 44.118830

High quality cloisonné enamel jewelry, brooches, crosses, chests etc are made in Mamuka Lashkhi's workshop in Gori. Use of semi-precious and precious stones together with enamel patterns give additional distinctive master touch and uniqueness to each piece made here.

SERVICES: Visitors are offered an interactive master class in cloisonne enamel.

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2-3 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 10 individuals

MASTER CLASS PRICE: GEL 15


PRODUCT PRICE RANGE: GEL 250 and higher

PAYMENT METHOD: Cash

CONTACT PERSON: Mamuka Lashkhi, +995 598252564

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, Ketevan Tsamebuli str., #68, 41.982153, 44.118830





გორი - ემზარ კუხალაშვილის ხისა და ქვის მხატვრული დამუშავების სახელოსნო

Gori - Emzar Kukhalashvili's wood and stone carving workshop

ოსტატის, ემზარ კუხალაშვილის სახელოსნოში იქმნება ხეზე და ქვაზე კვეთილი საეკლესიო ნივთები, სამუზეუმო ასლები, სუვენირები, ავეჯი, სხვადასხვა ტიპის ინტერიერის აქსესუარები, დეკორატიული კომპოზიციები. მის ნამუშევრებს ახასიათებს ორნამენტისა და კვეთის ტექნიკის დახვეწილობა.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ხის მხატვრული დამუშავების მასტერკლასს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2-3 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5-6 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: 30 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი
საკონტაქტო პირი: ემზარ კუხალაშვილი,
 +995 595501107, +995 597046605
GPS კოორდინატები:
 გორი, შოთა რუსთაველის ქ. #10, 41.977470, 44.107128

Emzar Kukhalashvili makes high quality wood and stone carved icons, museum copes, furniture, souvenirs and different interior accessories. His works show his refined techniques of intricate ornamental carving.

SERVICES: Interactive Master Class in wood and stone working.

VISITING HOURS: Must be arranged in advance
TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2-3 hours
MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5-6 individuals
MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance
PRODUCT PRICE RANGE: GEL 30 and higher
PAYMENT METHOD: Cash
CONTACT PERSON: Emzar Kukhalashvili,
 +995 595501107, +995 597046605
ADDRESS AND GPS COORDINATES:
 Gori, Shota Rustaveli str., #10, 41.977470, 44.107128





გორი - გიორგი გალუსტაშვილის ქვისა და ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო Gori - Giorgi Galustashvili's Stone and Wood carving Workshop

გიორგი გალუსტაშვილი ქვისა და ხის მხატვრული დამუშავების ოსტატია. ის ტრადიციული ორნამენტების გამოყენებით ამზადებს ხის გობებს, ზარდახშებს, ხატებს, ჩარჩოებს, ასევე ქვის კანკელებს და სხვადასხვა საეკლესიო დანიშნულების ნამუშვრებს.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ქვისა და ხის მხატვრული დამუშავების მასტერკლასს.

საშუალო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5-7 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: შეთანხმებით
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი
საკონტაქტო პირი: გიორგი გალუსტაშვილი, +995 598772010
GPS კოორდინატები:
გორი, ყიფიანის ქ. # 32. 41.992589, 44.108927

Giorgi Galustashvili is a master of Stone and woodwork-ing. By applying traditional ornaments he makes wood-carved household items, icons, etc. wood and stone chancel screens and other religious objects.

SERVICES: Interactive Master Class in wood and stone carving.

VISITING HOURS: Must be arranged in advance
TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2 hours
MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5-7 individuals
MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance
PRODUCT PRICE RANGE: Must be arranged in advance
PAYMENT METHOD: Cash
CONTACT PERSON: Giorgi Galustashvili, +995 598772010
ADDRESS AND GPS COORDINATES: Gori, Kipiani str., #32 , 41.992589, 44.1089 27



გორი - "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი" Gori - Welfare And Development Center

ცენტრი ხელს უწყობს და აძლიერებს რეგიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, სრულფასოვან ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. ცენტრთან არსებობს მინაწერის და კერამიკის სახელოსნო, სადაც მზადდება სამკაული, კერამიკული ჭურჭელი და ა.შ.

სერვისები: სახელოსნო ვიზიტორებს სთავაზობს მინაწერისა და თიხაზე მუშაობის მასტერკლასს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 1-3 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 3-4 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: 20 ლარი
პროდუქციის ღირებულება: იწყება 15 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი: ზვიად ზვიადაძე, +995 599851698, 0370 27 98 25
GPS კოორდინატები:
გორი, თარხნიშვილის #20ა. 41.990613, 44.096657

The center promotes and enhances the integration of people with disabilities into society. As a part of the therapy, the center has an enamel and ceramic workshop, where jewelry, ceramic tableware is made by the people with special needs.

SERVICES: Master class in ceramic and cloisonné enamel.

VISITING HOURS: Must be arranged in advance
TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2-3 hours
MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 3-4 individuals
MASTER CLASS PRICE: GEL 20
PRODUCT PRICE RANGE: GEL 15 and higher
PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer
CONTACT PERSON: Zviad Zviadadze, +995 599851698, 0370 27 98 25
ADDRESS AND GPS COORDINATES:
Gori, Tarkhnishvili str., #20a, 41.990613, 44.096657





გორი - ატელიე "სომა" Gori - Atelier "Soma"

სამკერვალოში იქმნება ქალის, მამაკაცის და ბავშვების სამოსი და სხვადასხვა აქსესუარები. გარდა ამისა, იკერება ქართული ტრადიციული სამოსი. სახელოსნოში დასაქმებულია სამი ადამიანი.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ტრადიციული სამოსის კერვის მასტერკლასს.

საფუძვალ საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5-6 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: იწყება 10 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი: სოფიო ტუაევი, +995 551610606
GPS კოორდინატები:
გორი, მშვიდობის ქ. # 13, 41.987669, 44.095540

Sewing atelier produces Georgian traditional clothes and accessorize for women, men and kids. The workshop employs three local women.

SERVICES: Master class in sewing .

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5-6 individuals

MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance

PRODUCT PRICE RANGE: GEL 10 and higher

PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer

CONTACT PERSON: Sophio Tuaevi, +995 551610606

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, Mshvidoba str., # 13, 41.987669, 44.095540





გორი - ირინა შოთაძის კერამიკული სახელოსნო Gori - Irina Shotadze Ceramic Workshop

ირინა შოთაძის სახელოსნოში თეთრი კერამიკისგან იქმნება მოჭიქული ჭურჭელი: ჭიქები, თეფშები, ლანგრები და ა.შ. დეკორატიული კომპოზიციები, მცირე ზომის ქანდაკებები.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ კერამიკის ამოყვანის და მოხატვის მასტერკლასებს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 3-10 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: იწყება 10 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი: ირინა შოთაძე, +995 599410333
GPS კოორდინატები:
გორი, ნ. ბარათაშვილის ქ. # 14, 41.989794, 44.114226

Here, in this workshop Irina Shotadze produces white glazed ceramic tableware, cups, plates, miniature sculptures and decorative compositions.

SERVICES: Visitors can take part in wheel throwing and ceramic painting master class.

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 3-10 individuals

MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance

PRODUCT PRICE RANGE: GEL 10 and higher

PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer

CONTACT PERSON: Irina Shotadze, +995 599410333

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, N. Baratashvili str., #14, 41.989794, 44.114226



გორი - ვლადიმერ ბეგიაშვილის ხისა და ლითონის დამუშავების სახელოსნო

Gori - Vladimer Begiashvili's wood and metalworking workshop

სახელოსნოში იქმნება ხისა და ლითონის საეკლესიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნამუშევრები: ხატები, ჯვრები, სხვადასხვა კომპოზიციები, საბეჭდავები, აქსესუარები, სუვენირები და ა.შ.

სერვისები: სახელოსნო ვიზიტორებს სთავაზობს ხისა და ლითონის დამუშავების მასტერკლასს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 2-3 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 3-4 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: შეთანხმებით
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი:

ვლადიმერ ბეგიაშვილი, +995 557667005

GPS კოორდინატები:

გორი, ყიფიანის ქ. #29, 41.994006, 44.108091

The workshop produces wooden and metal ecclesiastic and household items – icons, crosses, different types of decorative compositions, accessories and souvenirs.

SERVICES: Interactive Master Class in wood and metalworking

VISITING HOURS: Must be arranged in advance

TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 2-3 hours

MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 3-4 individuals

MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance

PRODUCT PRICE RANGE: Must be arranged in advance

PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer

CONTACT PERSON: Vladimer Begiashvili, +995 557667005

ADDRESS AND GPS COORDINATES:

Gori, Kipiani str., #29, 41.994006, 44.108091





გორი - ალექსანდრე ბერიანიძის ცივი იარაღის სახელოსნო

Gori - Alexandre Berianidze's weaponry workshop

სახელოსნოში ძირითადად მზადდება სანადირო დანები და ხანჯლები. ოსტატის მიერ დამზადებული იარაღის ხის ტარები უმეტესად მორთულია ორნამენტებით.

სარეზიუმე: ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ დანების აწყობის და ასევე ხეზე კვეთის მასტერკლასს.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 3-4 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 5-6 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: 150-500 ლარი
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი: ალექსანდრე ბერიანიძე, +995 579167023
GPS კოორდინატები:
გორი, შოთა რუსთაველის ქ. #10, 41.977470, 44.107128

The particular workshop produces hunting knives, daggers. The wooden handles of weapons are engraved with ornaments.

SERVICES: Visitors can observe knives assembling and handle woodcarving process.

VISITING HOURS: Must be arranged in advance
TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 3-4 hours
MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 5-6 individuals
MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance
PRODUCT PRICE RANGE: GEL 150-500
PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer
CONTACT PERSON: Alexandre Berianidze, +995 579167023
ADDRESS AND GPS COORDINATES:
Gori, Shota Rustaveli str., #10, 41.977470, 44.107128



გორი - კრეატორიუმი Gori - Creatorium

სამი ახალგაზრდა ოსტატის მიერ დაარსებული სახელოსნო კრეატორიუმი მდებარეობს გორში. აქ იქმნება თაბაშირისა და მოხატული ხის დეკორაციები. ასევე ხდება ტექსტილის მოხატვა. გარდა ამისა, სახელოსნოში ფუნქციონირებს არტ-თერაპიის კურსები.

სერვისები: ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ხეზე ხატვის მასტერკლასში.

სამუშაო საათები: შეთანხმებით
ვიზიტის დაახლოებითი ხანგრძლივობა: 1-2 საათი
ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა: 6 ადამიანი
მასტერკლასების ღირებულება: შეთანხმებით
პროდუქციის ღირებულება: 8 ლარიდან
ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი, გადარიცხვა
საკონტაქტო პირი: მარიამ წიქარიძე, +995 598260625
GPS კოორდინატები: თხინვალის გზატკეცილი #8,

Established by three young makers, the workshop Creatorium is located in Gori. Painted wood and gypsum wall decorations are made here. The workshop also offers art therapy courses.

SERVICES: Visitors have the opportunity to attend the master classes of painting on wood.

VISITING HOURS: Must be arranged in advance
TENTATIVE DURATION OF THE VISIT: 1-2 hours
MAXIMUM NUMBER OF PEOPLE PER GROUP: 6 individuals
MASTER CLASS PRICE: Must be arranged in advance
PRODUCT PRICE RANGE: 8 GEL and higher
PAYMENT METHOD: Cash, Bank Transfer
CONTACT PERSON: Mariam Tsikaridze, +995 598260625
ADDRESS AND GPS COORDINATES: Tkhinvali highway #8





გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული დედათა მონასტრის სახელოსნოები

